აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 73

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გამომცემლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

ქ. ქუთაისი **25 მარტი 2016 წ.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დებულება (თან ერთვის).

2. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დანართი
დამტკიცებულია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 25 მარტის N 73 დადგენილებით

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის

დებულება

თავი **I.** ზოგადი დებულებები

მუხლი **1.** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) გამომცემლობის დებულება (შემდგომში - „დებულება“) შემუშავებულია ,,საგამომცემლო საქმიანობის“ საქართველოს კანონის, „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2013 წლის 9 სექტემბრის № 132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში - „უნივერსიტეტის წესდება“) და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

მუხლი **2.** გამომცემლობა არის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის შემადგენლობაში და მისი სტრუქტურული ერთეული.

მუხლი **3**. უნივერსიტეტის გამომცემლობის (შემდგომში - „გამომცემლობა“) დებულება განსაზღვრავს გამომცემლობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მიზნებსა და ამოცანებს, სტატუსს, ფუნქციებსა და კომპეტენციას, უნივერსიტეტის გამომცემლობის მართვის სისტემას და არეგულირებს გამომცემლობის ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

მუხლი 4. გამომცემლობის დირექტორი უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით გამომცემლობის დებულებას და სტრუქტურას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 5. ამ დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გამომცემლობის დირექტორის წარდგინებით და უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 6. უნივერსიტეტის გამომცემლობის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით.

თავი **II.** უნივერსიტეტის გამომცემლობის სტატუსი.

ფუნქციონირების ძირითადი პრონციპები, მიზნები და ამოცანები მუხლი **6.** უნივერსიტეტის გამომცემლობის სტატუსი გამომცემლობა არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის საფუძველზე შექმნილი უნივერსიტეტის საგამომცემლო დაწესებულება, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონებით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 7. უნივერსიტეტის გამომცემლობის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები

გამომცემლობის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

ა) ავტორებისათვის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა;

ბ) ოპერატიულობა;

გ) ავტორთა თანასწორუფლებიანობა;

დ) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი.

მუხლი 8. უნივერსიტეტის გამომცემლობის მიზნები

1. უნივერსიტეტის გამომცემლობის მიზანია:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი უნივერსიტეტის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და კომპეტენციის ფარგლებში მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

მუხლი **9.** უნივერსიტეტის გამომცემლობის ამოცანებია**:**

ა) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის განათლების დონის ზრდას მაღალი ხარისხის პუბლიკაციების, წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემებით, რაც, თავის მხრივ, განავითარებს კარგ სასწავლო გარემოს. სტუდენტისათვის და ზოგადად მკითხველისათვის შექმნას ღირებული პროდუქტი. აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვაში. დაამზადოს სასწავლო

პროცესისათვის საჭირო ყველანაირი დოკუმენტი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. უნივერსიტეტის გამოცემების უმრავლესობა წარმოდგენილი იქნება ბეჭდური სახით, ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, აგრარული, სამედიცინო და საზოგადოებრივი მეცნიერებები.

ბ) ზრუნვა გამომცემლობის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

გ) საგამომცემლო პროცესების შემდგომი სრულყოფა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ამოცანათა შესრულება.

თავი III. უნივერსიტეტის გამომცემლობის მართვის სისტემა და სტრუქტურა

მუხლი 10. უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობა

უნივერსიტეტის გამომცემლობას ხელმძღვანელობს დირექტორი გამომცემლობის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი

მუხლი 11. უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი და გამომცემლობის რედაქტორი

1) უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი:

ა) წარმართავს უნივერსიტეტის გამომცემლობის საქმიანობას, კოორდინაციას უწევს გამომცემლობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, აკონტროლებს მათ მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას;

ბ) წარმოადგენს უნივერსიტეტის გამომცემლობას უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობებში, ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

გ) უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის გამომცემლობის დებულებასა და სტრუქტურას დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) დადგენილი წესის შესაბამისად წარადგენს წინადადებებს გამომცემლობის პერსონალის წაახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ;

ე) კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებს უნივერსიტეტის გამომცემლობის ქონების დაცვისა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს უნივერსიტეტის გამომცემლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, თანამშრომელთა აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;

ზ) ახორციელებს დადგენილი წესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2) გამომცემლობის რედაქტორი

ა) ანგარიშვალდებულია გამომცემლობის დირექტორის წინაშე;

ბ) ემორჩილება ადმინისტრაციის დისციპლინარულ გადაწყვეტილებებს;

გ) ასრულებს გამომცემლობის დირექტორის მიერ გათვალისწინებულ დავალებებს:

დ) ხელმძღვანელობს და წარმართავს სარედაქციო საქმიანობას;

ე) წარმართავს გამომცემლობის სარედაქციო სექტორის მუშაობას, განიხილავს და ამუშავებს სექტორის წევრთა ინიციატივებს;

ვ) სამუშაო გეგმის თანახმად დავალებებს აძლევს და თვალყურს ადევნებს სარედაქციო სექტორის თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და აწარმოებს კონტროლს;

ზ) რედაქტირებას უკეთებს მომზადებულ წიგნებს, ჟურნალებს, სტატიებს,

თ) მუშაობს წიგნების ,ჟურნალების, გაზეთების და სხვა... მაკეტზე;

ი) აკონტროლებს მასალის დაკაბადონების პროცესს;

კ) აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურასთან

ლ) უზრუნველყოფს გამოცემების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებას;

მ) ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და ვალდებულებებს;

მუხლი 12. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტრუქტურას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილი წესით.

2. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საგამომცემლო სექტორი ბ) ტექნიკური სექტორი

გ) ჟურნალი ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე”

დ) გაზეთი ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

3. საგამომცემლო სექტორი უზრუნველყოფს

ა) წიგნებისა და სხვა ბეჭდური მასალის აკრება დაკაბადონება, კორექტირება, რედაქტირებას.

ბ) სასწავლო პროცესისთვის საჭირო ყველანაირი დოკუმენტის ელექტრონულ დამუშავებას.

გ) ჟურნალ ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე” დაკაბადონება, რედაქტირებას.

დ) უნივერსიტეტის გაზეთის ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. აკრება, დაკაბადონება, რედაქტირებას.

4. ტექნიკური სექტორი უზრუნველყოფს

ა) წიგნების, ბროშურების, კონფერენციის მასალების და პროგრამების ბეჭდვას

ბ) სასწავლო პროცესისთვის საჭირო ბეჭდური მასალის დამზადებას

გ) საუნივერსიტეტო გაზეთის ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. -ბეჭდვას

დ) ჟურნალ ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე"- ბეჭდვას

ე) სხვა სახის პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვას

5.ჟურნალ ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბის" რედაქცია უზრუნველყოფს

ა) ჟურნალ ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე” დასაბეჭდი მასლის მოძიებას და დამუშავებას

ბ) ჟურნალ ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე” მომზადებას პერიოდულად გამოსაცემად

6. უნივერსიტეტის გაზეთის ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. რედაქცია უზრუნველყოფს

ა) გაზეთში ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ დასაბეჭდი მასალის მოძიებას და დამუშავებას

ბ) გაზეთის ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მომზადებას პერიოდულად გამოსაცემად

მუხლი 13.უნივერსიტეტის გამომცემლობის პერსონალი

1. უნივერსიტეტის გამომცემლობის პერსონალის მიღების წესი განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული დამხმარე

პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესაბამისად..

2. უნივერსიტეტის გამომცემლობის პერსონალის შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით.

3. უნივერსიტეტის გამომცემლობის პერსონალის სამუშაო აღწერილობასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექ-ტორი.მუხლი 13 . დასკვნითი დებულება

13.1. ამ დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალდაკარგულად ცნობა, დე-ბულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის აკადე-მიური საბჭოს მიერ.

13.2. სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მო-წესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობა:

ა) უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი

2. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტრუქტურული ერთეულები:

ა) საგამომცემლო სექტორი

ბ) ტექნიკური სექტორი

გ) ჟურნალი ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე”

დ) გაზეთი ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.